ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 40

ქ. ბათუმი „23“ „აგვისტო“ 2018 წ.

სხდომას ხელმძღვანელობდა: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - **ნუკრი დეკანაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო კომისიის წევრები:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - **რამაზ მამულაძე;**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი - **მამუკა დარჩია.**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - **ეგარსლან ლომაძე.**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - **მერაბ ქიძინიძე.**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - **მირიან მეტრეველი.**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - **ეთერ ლომაძე.**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - **კახა დიასამიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, მათ შორის კონკურსის პროგრამის, პირობების, კანდიდატის შეფასების ფორმებისა და ჩატარების გრაფიკის განსაზღვრა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 17 აგვისტოს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობების შესახებ“ № 2531 ბრძანების შესაბამისად, მერიის საკონკურსო კომისიას დაევალა, არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე ღია და დახურული კონკურსის ჩატარება.

ასევე აღნიშნა რომ, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“-ს მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონკურსის პროგრამას, პირობებს, კანდიდატის შეფასების ფორმებსა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს საკონკურსო კომისია. შესაბამისად აუცილებელია რომ, კომისიამ განსაზღვროს აღნიშნული საკითხები.

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით მიზანშეწონილია ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსი ჩატარდეს **სამ ეტაპად**: ა) **გადარჩევა,** ბ) **შეფასება,** გ) **გასაუბრება.**

კომისიის წევრებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები წინა ჩატარებულ კონკურსებთან დაკავშირებით და აღინიშნა რომ, კონკურსის ჩატარების პირობების, უკვე დანერგილი პრაქტიკა წარმატებულია და გამართლებულია. აქვე მათი მხრიდან გამოითქვა გარკვეული მოსაზრებები ტესტირების ქულების დაანგარიშების, შემოსული საჩივრების განხილვის პროცედურების დარეგულირების, მეორე ეტაპის პროცესის საორგანიზაციო საკითხების დახვეწის მიზნით ტენდერში გამარჯვებული სსიპ **ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან** კომუნიკაციის და სხვა დეტალური საკითხების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარის და კომისიის წევრების მიერ გაზიარებული იქნა დაზუსტებები რის შემდგომაც დისკუსიის შედეგად კომისიის წევრები შეთანხმდნენ და დაადგინეს.

კ ო მ ი ს ი ა მ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 17 აგვისტოს № 2531 ბრძანების შესაბამისად განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსი ჩატარდეს **სამ ეტაპად**:

ა) **გადარჩევა,** წარმოდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, რომელსაც განახორციელებს ადმინისტრაციის **ადამიანური რესურსების მართვის** განყოფილება;

ბ) **შეფასება,** ტესტირება/წერითი დავალების მეთოდით, რომელსაც 2018 წლის 3 აგვისტოს № 153 ხელშეკრულების თანახმად, განახორციელებს ტენდერში გამარჯვებული სსიპ **ფინანსთა სამინისტროს აკადემია**;

გ) **გასაუბრება**, რომელსაც განახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის **საკონკურსო კომისია**.

2. კონკურსანტებისაგან განაცხადები (საბუთები) მიიღება მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით - www.hr.gov.ge, გამოქვეყნებიდან 10 დღის განმავლობაში.

3. კონკურსანტის განაცხადი არ განიხილება და იგი მოიხსნება კონკურსის **პირველი ეტაპიდან**, თუკი ვებ გვერდზე (www.hr.gov.ge) არასრულყოფილად ატვირთავს სავალდებულოდ ასატვირთ დოკუმენტებს, კერძოდ:

- შესაბამისი უმაღლესი განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;
- შრომის წიგნაკის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლს (იმ ვაკანტურ თანამდებობებზე, სადაც საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრულია სამუშაო გამოცდილება).

4. კონკურსის **მეორე ეტაპზე** დაიშვებიან მხოლოდ ის კონკურსანტები, რომლებიც კონკურსის პირველი ეტაპის, განაცხადის გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს.

5. კონკურსის **მესამე ეტაპზე** დაიშვებიან მხოლოდ ის კონკურსანტები, რომლებიც გადალახავენ კონკურსის მეორე ეტაპის (ტესტირება/წერითი დავალების) **min** ბარიერს - 21 **ქულას**.

6. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის მისამართად განისაზღვროს: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა.

7. <u>განისაზღვროს კონკურსანტთა შეფასების შემდეგი წესი და პირობები:</u>

ა) <u>**კონკურსანტის მიერ**</u> შეფასებით დაგროვებადი შესაძლო (ჯამური) უმაღლესი ქულაა **max** 60 ქულა, კერძოდ: ტესტირება/წერითი დავალება (მეორე ეტაპი) - **max** 30 ქულა, გასაუბრება (მესამე ეტაპი) - **max** 30 ქულა.

ბ) <u>**ტესტირებაზე**</u> გამოყოფილი იქნება **60 წუთი** (1 საათი). ტესტების რაოდენობა განისაზღვრება **30 ტესტური შეკითხვით**, რომელიც შეფასდება **max 6 ქულით** (30 სწორი პასუხი), **1 სწორი პასუხი 0,2 ქულა**.

ტესტის **30** შეკითხვა უნდა შედგებოდეს ოთხი ბლოკისგან, ესენია:

- ✓ საქართველოს კონსტიტუცია, **6** ტესტური დავალება;
- ✓ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", **8** ტესტური დავალება;
- ✓ „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, **8** ტესტური დავალება;
- ✓ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. **8** ტესტური დავალება;

კონკურსანტები, რომლებიც **ტესტირების** შესაძლო **max** - 6 **ქულიდან** (30 სწორი პასუხი) ტესტირებაში **ვერ მიიღებენ min** - 4,2 **ქულას** (21 სწორი პასუხი) არ დაიშვებიან წერით დავალებაზე.

გ) <u>**თითოეულ წერით დავალებაზე**</u> გამოყოფილი იქნება **60 წუთი** (1 საათი). კონკურსანტს მიეცემა **2 წერითი დავალება**, რომელიც ჯამურად შეფასდება **max** 24 **ქულით**, თითოეული წერითი დავალების შესაძლო უმაღლესი შეფასებაა **max** - 12 **ქულა**.

წერითი დავალება ჩატარდება საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრულ საკონკურსო პოზიციების შესაბამის სამართლებრივ აქტებში, ამ ოქმის დანართის შესაბამისად. (დანართი **№** 1)

დ) <u>**მეორე ეტაპის (ტესტირება/წერითი დავალება)**</u> შეფასების საბოლოო ქულა დაითვლება **ტესტირებაში** და **წერით დავალებაში** მიღებული ქულების დაჯამებით.

კონკურსის <u>**მეორე ეტაპის**</u> გამსვლელი ბარიერია **min** 21 **ქულა**, კონკურსანტები, რომლებიც **მეორე ეტაპის** შესაძლო **max** 30 **ქულიდან** ვერ მიიღებენ **min** 21 ქულას არ განიხილებიან კონკურსის შემდეგ - გასაუბრების (მესამე) ეტაპზე.

ე) <u>**მესამე ეტაპის - (გასაუბრების)**</u> გამსვლელი ბარიერია **min** 21 **ქულა**. კონკურსანტები, რომლებიც **მესამე ეტაპის** შესაძლო **max** 30 **ქულიდან** ვერ მიიღებენ **min** 21 **ქულას** არ განიხილებიან კონკურსის **საბოლოო შედეგების** შეჯამების ეტაპზე.

მესამე ეტაპზე კონკურსანტები შეფასდება ინდივიდუალური (ზეპირი) გასაუბრების საფუძველზე, ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ წარმოდგენილი **კონკურსანტის შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით** (დანართი № 2).

თითოეული **კონკურსანტის გასაუბრების შეფასებისათვის** გამოიანგარიშება საშუალო არითმეტიკული ქულა, რომლის გამოსათვლელად კომისიის წევრთა მიერ კონკურსანტისათვის დაწერილი ქულები შეჯამდება და გაიყოფა იმ რიცხვზე, რამდენი კომისიის წევრიც აფასებს კონკრეტულ კონკურსანტს.

თითოეულ კანდიდატისათვის გამოყოფილია **min** 10-15 **წუთი** და შესაძლო დასმული კითხვების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით:

- ✓ **4** შეკითხვა - სამართლებრივი აქტებიდან;
- ✓ **3** შეკითხვა უნარებიდან;
- ✓ **3** დამატებითი შეკითხვა (საჭიროებისამებრ).

კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში, გასაუბრებაზე შეიძლება განხორციელდეს გასაუბრების აუდიო/ვიდეო ჩაწერა.

მესამე ეტაპი - გასაუბრება ჩატარდეს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი ლუკა ასათიანის ქ. **№** 25, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა, საკრებულოს სხდომათა დარბაზი.

ვ) <u>**იმ პოზიციებზე,**</u> რომლებისთვისაც საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებულია ინგლისური ენის B1 ან/და B2 დონეზე ცოდნა, კონკურსანტები გამოიცდება გასაუბრებამდე ან გასაუბრების მიმდინარეობისას მოწვეული კვალიფიციური სპეციალისტის მიერ.

8. კანდიდატის მიერ კონსკურსის **მეორე ეტაპზე** (ტესტირება/წერითი დავალება) და **მესამე ეტაპზე** (გასაუბრება) მიღებული **შეფასების ქულების შეჯამებით** გამოითვლება კანდიდატის **საერთო ქულა.** კონკურის საბოლოო შედეგების მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდება ის კანდიდატი, რომელიც კონკურსის მონაწილეთა შორის დააგროვებს უმაღლეს საერთო (ჯამურ) ქულას. იმ შემთხვევაში, თუკი თანაბარი უმაღლესი საერთო ქულა დააგროვა ერთზე მეტმა კანდიდატმა, გამარჯვებულად გამოვლინდება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს უმაღლეს შეფასებას კონკურსის **მეორე ეტაპის** (ტესტირება/წერითი დავალება) ჯამური **max** ქულის მიხედვით.

9. იმ შემთხვევაში, თუ **მეორე ეტაპზე** (ტესტირება/წერითი დავალება) ან/და **მესამე ეტაპზე** (გასაუბრება) ვერცერთი კანდიდატი ვერ გადალახავს დაწესებულ **min** ბარიერს, აღნიშნულ პოზიციაზე კონკურსი **ჩაშლილად** გამოცხადდეს.

10. კონკურსის **მეორე** და **მესამე** ეტაპზე **რეგისტრაციის** დროის განმავლობაში (ტესტირების/წერითი დავალების/გასაუბრების დაწყებამდე ერთი საათის განმავლობაში) კანდიდატის **გამოუცხადებლობის** ან/და **დაგვიანების** შემთხვევაში, მიუხედავად გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზისა (საპატიო თუ არასაპატიო) მონაწილე ფასდება **0 ქულით.**

11. **კონკურსანტებს** უფლება აქვთ საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და **კონკურსის შედეგები გაასაჩივრონ სასამართლოში,** კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს ამ ოქმით გათვალისწინებულ ეტაპებთან დაკავშირებით შესაბამისი კონკურსანტების ინფორმირება, მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართისა და დამატებით მობილურ ტელეფონზე sms შეტყობინებების გაგზავნით, კომისიის გადაწყვეტილების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.batumi.ge გამოქვეყნების გზით.

კომისიის თავმჯდომარე: ---------- ნუკრი დეკანაძე

კომისიის წევრები:

---------- რამაზ მამულაძე

---------- მამუკა დარჩია

---------- ეგარსლან ლომაძე

---------- მერაბ ქიძინიძე

---------- მირიან მეტრეველი

---------- ეთერ ლომაძე

---------- კახა დიასამიძე